<u>დანართი №4</u>

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის **სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა** ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 16-საათიან - 8 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), 8 საათი საკონსულტაციო დატვირთვას; ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 20-საათიან - 10 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), 10 საათი საკონსულტაციო დატვირთვას; ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 24-საათიან - 12 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), 12 საათი საკონსულტაციო დატვირთვას, შრომითი სამართლებრივი ურთიერთობა აქვს მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (ნებადართულია: შესაბამისი ანაზღაურებით ან მის გარეშე სსიპ – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ და სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიებში სამეცნიერო-კვლევითი ფუნქციის განხორციელება, არასაუნივერსიტეტო გრანტებსა და პროექტებში, ასევე უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო/კვლევით/უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით გათვალისწინებულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მონაწილეობა ან ხსენებული ხელშეკრულების ან მემორანდუმის ფარგლებში, ასევე საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე, სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის წაკითხვა **(გადაწყვეტილებას ზემოხსენებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით გათვალისწინებულ ანაზღაურებად სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მონაწილეობაზე, ასევე სასწავლო კურსის** ან მისი ნაწილის **წაკითხვის თაობაზე, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი))** და ეწევა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ა“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 2500 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 2050 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1560 ლარი.

2. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და აკადემიური პერსონალის მინიმალურ სავალდებულო დატვირთვას, პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური) და ეწევა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

აფილირებული აკადემიური პერსონალი

„ბ“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 1500 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1250 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1010 ლარი.

არააფილირებული აკადემიური პერსონალი

„ბ“ კატეგორია

ა) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1050 ლარი;
ბ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 810 ლარი.